განცხადება

შპს ,,გრანდ როიალ კონსტრუქცია"-ს (ს/კ 404472012) მისი დირექტორის **ამირ პურსადეყსუფიანის (პ/ნ 01994001226)** წარმომადგენლის **მოჰამმად სარანჯამის (პ/ნ 01591023005)** სახით (თანახმად მინდობილობისა, დადასტურებული ნოტარიუს ანჟელა მანიას მიერ 28.09.2017 წელს რეესტრში რეგისტრაციის N 171144903) აცხადებს თანხმობას, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთს (მისამართი: ქ.თბილისი, ქერჩის ქუჩა N12, ს/კ 01.11.05.029.184) მეზობლად შპს ''ნიკე 2009''-ს მიერ საკუთარ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.05.029.215) დანართში მოცემული გენგემის თანახმად ქერჩის ქუჩის მხრიდან, წითელი ხაზის მიჯნაზე, საპროექტო მრავალფუნქციურ შენობა-ნაგებობაზე (საცხოვრებელი სახლი, კომერციული, საოფისე) განხორციელდეს ღია აივნების, ასევე კარისა და ფანჯრის ღიობების მოწყობა. მოგახსენებთ, რომ საპროექტო შენობა იქნება ერთის მიწისქვეშა და 8 სართული მიწის ზემოთ, ასევე დანართის სახით მოცემულია გეგმა და შენობის ვიზუალური ხედები, მოთხოვნილი აივნის, კარებებისა და ფანჯრის აღსანიშნავად.

წარმოდგენილი მომიჯნავე მიწის მესაკუთრის თანხმობა და კორექტირებული ფოტომონტაჟის დანართი განხილულ იქნეს არქიტექტურის სამსახურის AR 1600632 განცხადებაში.

ამირ პურსადეყსუფიანის მინდობილი პირი

მოჰამმად სარანჯამ Mohammad Saranjam

გენ–გეგმა
მ.1–100



ტექნიკური ნაჩვენებელი

ტერიტორიის ფართი – 781 კმ.მ
საპროექტო შენობა
განაშენიანების ფართი – 418.50 კმ.მ
საერთო ფართი – 2672.65 კმ.მ
მათ შორის:
კომერციული ფართი – 212.00 კმ.მ
საოფისე ფართი – 24.60
საცხოვრებელი ფართი – 1307.40 კმ.მ
კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართი – 316.20
საზაფხულო ფართი – 277.90 კმ.მ
დამხმარე ფართი – 290.55 კმ.მ
ავტოფარეხის ფართი – 244.00

სამშენებლო მოცულობა – 8870 კბ.მ
მათ შორის:
± 0.00 ზემოთ – 7930 კბ.მ
ქვემოთ –940 კბ.მ
კ–1=334.40/781 სზ–ნ=0.4
კ–2=2381.90/781=3.0
კ–3=67.16 კმ.მ/781 სზ–ნ=0.1

ქ.ბათუმში, ძუნა ძერის №12, (ნაკ.29:17) ტაძარი მთაწმინდა, ძუნა ძერის და შუშანიკის ეპარქიასთან ჩასახვევი გზის გადაკვეთასთან / ტაძარი მთაწმინდა ძუნა ძერის მიმდებარედ შ.პ.ნ.№30 2009" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა ნაგებობის პროექტი. კორპუსტორება

დამკვეთი	შ.პ.ს."ნიკი 2009"		არქიტექტურული ნაწილი	ხელშეკრულება №
არქიტექტორი	ა.ტაბუცაძელაშვილი		გენ გეგმა	სტადია / პრ
				შესრულდა / ა-1
				მასშტაბი / 1:500

ტოპოგრაფიული სამუშაოები შესრულდა 2021 წლის ივნისში

Mohammad Saranjam

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180669643
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.06.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ზაალ ზაქარაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	595 07 52 44
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	84727469321318

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას **თვრამეტი წლის თერთმეტ ივნისს** მე, ნოტარიუსს საქართველოში ზაალი ზაქარაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47-ში, მომმართა **მოჰამმად სარანჯამ,** წარმოადგინა განცხადება, განაცხადა რომ იცის აღნიშნული განცხადების შინაარსი, ესმის სამართლებრივი შედეგები და მოითხოვა აღნიშნულ განცხადებაზე თავისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მოჰამმად სარანჯამ** (დაბადებული 13.05.1971 წელს, დაბადების ადგილი- ერაყი, პ/№01591023005, მცხოვრები: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 28, ბინა 1**-ში) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ მე განვუმარტე მხარეს, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების სისწორეს, ნოტარიუსი ადასტურებს, რომ აღნიშნული ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის წარმოდგენილ პიროვნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე განცხადებას.

გადახდილია საზღაური ექვსი ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა და ორი ლარი დღგ–ს ჩათვლით თანახმად 39 მუხლისა. სულ გადახდილია საზღაური რვა ლარი.

ნოტარიუსი ზაალ ზაქარაშვილი



Constraction

სანოტარო მ[illegible]ბის ი[illegible] ნომერი

34190612306117

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171144903

რეგისტრაციის თარიღი

28.09.2017 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ჩვიდმეტი წლის *ოცდარვა სექტემბერს* მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მომმართა *ამირ პურსადეყსუფიანმა.* მან განაცხადა, რომ არ ფლობს ქართულ ენას და მისი თარჯიმნის ფუნქციას შეასრულებს გიორგი სახლთხუციშვილი. მან ასევე განაცხადა, რომ არის შპს *"ფრანდ როიალ კონსტრუქცია"*-ის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B17088104, 29/08/2017 10:44:37,** რეგისტრირებული **16/05/2014წ.,** საიდენტიფიკაციო კოდი: **404472012,** იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ვ. ბარნოვის ქ., **№10)** დირექტორი და მოითხოვა **მოჰამმად სარანჯამისათვის** (დაბ. 13.05.1971წ., (საქართველოს დრ. ბინადრობის მოწმობა **# 15TR46244,** პირადი # 01591023005), პირადი № 4723151729, ირანის ისლამური რესპუბლიკის პასპორტი № N 37488797, გაც. თარიღი: **25.05.2016წ.)** შპს *"ფრანდ როიალ კონსტრუქცია"*-ის სახელით შესაბამისი სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ზემოხსენებულმა პიროვნებამ მომმართა: **ამირ პურსადეყსუფიანი** - დაბადებული 07.12.1981წ., პირადი № 01994001226, საქართველოს დრ. ბინადრობის მოწმობა № 15TR46166, გაც. თარიღი: 05.05.2017წ. მისი განცხადებით მცხ. ქ. თბილისი, აფაქიძის ქ. #11, ბ. #11; *გიორგი სახლთხუციშვილი* (დაბ. 05.08.1974წ., პირადი № 01024008369, მისი განცხადებით მცხ. ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №42, ბ. №3) – მიმნდობის მიერ წარმოდგენილი თარჯიმანი. თარჯიმანი გაფრთხილებულია, თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. მხარემ და თარჯიმანმა დამიდასტურეს თარჯიმნობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობის შესახებ. მე, ასევე გიორგი სახლთხუციშვილი გავაფრთხილე, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. მან დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის სპარსული ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარჯიმანმა გიორგი სახლთხუციშვილმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი უვ №997452, გაცემული ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1996 წელს, სარეგისტრაციო №01/06, სპეციალობა – აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი, ისტორიის მასწავლებელი, თარჯიმანი. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მიმნდობს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ეს მინდობილობა. მან დაადასტურა რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

უფლებამოსილების შინაარსი: ამ მინდობილობით შპს *"ფრანდ როიალ კონსტრუქცია"*-მა მისი დირექტორის **ამირ პურსადეყსუფიანის** სახით, შემდგომში წოდებული "მიმნდობი", **მოჰამმად სარანჯამს,** შემდგომში წოდებული `მინდობილი პირი', მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. წინამდებარე მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირი უფლებამოსილია შპს-ს სახელით განახორციელოს ნებისმიერი ტვირთის იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მიღებული ტვირთების უკან გაბრუნება, მიიღოს, ჩაიბაროს, განახორციელოს მიმნდობის სახელზე გამოგზავნილი ტვირთის განბაჟებისათვის საჭირო პროცედურები, მოახდინოს მისი ტრანსპორტირება და საწყობში განთავსება, იყოს მისი წარმომადგენელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში და საბაჟო ტერმინალებში, განახორციელოს ყველა საჭირო პროცედურა, შეკრიბოს და აწარმოოს საჭირო დოკუმენტები (სატრანსპორტო, საბაჟო მათ შორის, ტირ-კარნეტი, სატრანსპორტო ზედდებული და სხვ.), წარადგინოს ისინი შესაბამის ინსტანციებში.

2. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რისი უფლებაც გააჩნია საზოგადოების დირექტორს

საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციაში, კომერციულ დაწესებულებებში, საჯარო, კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, მოახდინოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მოქმედება, დადოს და გააუქმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებები, შეიძინოს, გაყიდოს (ან გადაიფორმოს საკუთარ სახელზე) მიმნდობის ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება, ნებისმიერი სახის საქონელი, მანქანა-დანადგარები, ავტომობილები (მართოს და განკარგოს, გადაიხადოს ჯარიმები, გამოიყვანოს ავტომობილი საჯარიმო ავტოსადგომიდან, გაატაროს ტექდათვალიერებაზე), იყოს მიმნდობის წარმომადგენელი სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებში, აიყვანოს ადვოკატი შპს-ს ინტერესების დასაცავად, დადოს და გააუქმოს მასთან ხელშეკრულებები, იყოს მიმნდობის წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში, საჯარო და სამეწარმეო რეესტრში, შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ინსპექციაში, საბაჟო სამსახურში და საპატრულო პოლიციაში, მომსახურების სააგენტოში, მიიღოს და გაათავისუფლოს საზოგადოების თანამშრომლები, მიმართოს შესაბამის ორგანიზაციებს კომუნალური და ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად (ტელეფონის დადგმა, გაზის, წყლის, დენის მრიცხველების საზოგადოების სახელზე გადაფორმება და სხვა) მიმართოს საქართველოს ცენტრალურ არქივს და სხვა ნებისმიერი დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ საარქივო დაწესებულებებს, საქართველოს საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, სხვა ნებისმიერ სამინისტროსა თუ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს,სხვა საექსპერტო ბიუროებს, იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიასა და სხვა მუნიციპალურ დაწესებულებებში, მათდამი დაქვემდებარებულ არქიტექტურის სამსახურში და სხვა შესაბამის სამსახურებში, მიმნდობის კუთვნილი ნაკვეთის შემოღობვისათვის და მასზე მშენებლობის განხორციელებისათვის საჭირო ნებართვების აღების ან არსებული ნებართვების გაგრძელების, მიმნდობის კუთვნილი უძრავი ქონების დაზგრევის, ხელახალი მშენებლობის განხორციელების და სხვა ნებისმიერი მიზნით, განახორციელოს მშენებლობა მიმნდობის კუთვნილ ნაკვეთზე, დადოს ხელშეკრულებები სამშენებლო კომპანიებთან, მშენებლებთან, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, შეკრიბოს და აწარმოოს საჭირო დოკუმენტები, წარადგინოს ეს დოკუმენტები შესაბამის ინსტანციებში, მიიღოს მოთხოვნილი საბუთები და დოკუმენტაცია, მოაწეროს ხელი მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

3. ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ფილიალში მისი სახელით განახორციელოს კანონით ნებადართული საბანკო ოპერაციები, როგორიცაა ანგარიშის გახსნა, თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვები, გახსნას აკრედიტივი, დაამზადოს და აიღოს/შეცვალოს პლასტიკური ბარათი, ისარგებლოს ბანკის დისტანციური და ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურებით, მიიღოს და/ან შეცვალოს ანგარიშებზე წვდომის პაროლი/კოდი, დიჯიპასი, მიიღოს სხვა სახის საბანკო მომსახურებანი, მოითხოვოს და მიიღოს მიმნდობის ანგარიშებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ცნობები, ამონაწერები, მოახდინოს საბაჟო, საგადასახადო და სხვა მოსაკრებლების გადახდა (მათ შორის საჯარო, კომუნალური და სხვა გადასახადები), ასევე იყოს მისი წარმომადგენელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, შეიძინოს, დაარეგისტრიროს და ჩაიბაროს სალარო აპარატი, განახორციელოს საჭირო ფინანსური პროცედურები, განახორციელოს ანგარიშწორება საგადასახადო ორგანოებთან, აიღოს საჭირო ნებართვები და ლიცენზიები (მათ შორის, ნავთობპროდუქტების იმპორტისა და რეალიზაციისათვის საჭირო ნებართვა და კოდი), საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს განცხადება, განახორციელოს შპს-ს ლიკვიდაციისათვის ან რეორგანიზაციისათვის საჭირო ნებისმიერი მოქმედება დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში, მოაწეროს ხელი მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

4. მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოს, პროკურატურას, პოლიციას და სხვა სამართალდამცავ ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებს, აწარმოოს შესაბამისი

სასჯლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეები როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის, მესამე პირის და სხვა წებისმიერი სტატუსით, შეიტანოს განცხადება, წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მოითხოვოს და მიიღოს მარწმუნებლისათვის გადასახდელი ვალი მისი მოვალეებისაგან, ამისათვის განახორციელოს წებისმიერი საჭირო მოქმედება, მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადოს, დაიბრუნოს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივროს სასამართლოს წებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, უფლება აქვს დაამთავროს საქმე მორიგებით, მიიღოს მონაწილეობა სასამართლოს, არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებაში, მიიღოს მონაწილეობა სააღსრულებლო პროცესში, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი სააღსრულებო ბიუროში, შესაბამისად, იყოს წარმომადგენელი სააღსრულებო ბიუროში, მათ შორის კერძო აღმასრულებელთან;

უფლებამოსილების ვადა: მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობა შედგენილია ქართულ და სპარსულ ენებზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს *"გრანდ როიალ კონსტრუქცია"*-ის შესახებ;

სანოტარო მომსახურების ხარჯები: გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი; დღგ – 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – თანახმად ზემოხსენებული დადგენილების მუხლი 39-სა.

მიმნდობი _____

თარჯიმანი _____

ნოტარიუსი */ანწყელა მანია/*

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180269117
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.03.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ან ამონაწერის გაცემა
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	57970496087718

ორიათას თვრამეტი წლის თხუთმეტ მარტს მე, ნოტარიუსს ანჟელა მანიას, ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, ვადასტურებ არქივში დაცული დოკუმენტის (რწმუნებულება/მინდობილობა დამოწმებული ნოტარიუს ანჟელა მანიას მიერ 28.09.2017წ. ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის # 171144903) ფოტოასლის შესაბამისობას მის დედანთან.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა # 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა 3 ლარი, ასევე დღგ 0.54 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და სანოტარო მოქმედება რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, სულ გადახდილია ზემოთ მითითებული დადგენილებისა.

ნოტარიუსი /ანჟელა მანია/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18